



ნახ. გ. ფირცხალავაძე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რკინიგზების საკავშირო დღესთან დაკავშირებით რკინიგზის ტრანსპორტზე ნამსახურობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა გზათა სამინისტროს მუშაკთა დიდი ჯგუფი.

— კვლავ მებისრეა და მნაშავე... რომ ჩვენი რკინიგზა ასე გულუხვად დაჯილდოვდა!..

ნ ი ა ნ ბ ი

ნახ. ღონისა



განა ეს გამოცანაა, —
მხატვრის ოცნება ცხადია:
წყურვილის გამოხახატად
ზღვისპირი დაუხატია.

იქნებ ეს ქობულეთია,
იქნებ სრულიად სხვა არი,
წყალი აქ როგორ ინატრო,
როდესაც თვალწინ ზღვა არი?

ტალღებს ადვილად გასცურავ,
იმედი თუ გაქვს ცურვისა,
შორეულ ყირიმს მიაღწევ
და იქ მოიკლავ წყურვილსა...

ღელი ოდილაგაქი

მეზობელ ვაგონში სიმღერა შეწყდა და ჩვენთან ტიკ-ტიკორიანი მგზავრი შემობარბაცდა.

— თუ შეიძლება პატარა შევიწროვდით, პატივცემულო! — მომმართა კონდუქტორმა, რომელიც ტიკტიკოროსანს შემოუძღვა. მე „შევიწროვდი“. ტიკტიკოროსანი დამაკვირდა.

— ოჰ, გამარჯობა! — შემომძახა მან თამამად. აშკარად ჩანდა, ვილაცაში ამრია და ხელის ჩამორთმევა დააპირა.

— გამარჯობათ! — ცივად მივუგე მე. ის თვალებით მილიმოდა.

— შენ დალაქი არა ხარ?

მე გაკვირვებით შევხედე.

— უჰჰ, რა დამემართა?! დალაქი კი არა, ვეტფერშალი, ვეტფერშალი! ძლივს არ გიცანი, ჩვენი რაიონის ვეტფერშალი ხარ! შენთან საქმეც კი მაქვს: ერთი ჯანდაგი კერატი მყავს...

— არა, გეთაყვა, თქვენ გერევათ.

ახირებული მოსაუბრე განცვიფრდა. ტიკტიკორა ფეხებთან დამიღო და გაფართოებული თვალები მომანათა.

— როგორა? მაშ არც ვეტფერშალი ხარ? ბიკოს, შენი სახე ისე მეცნობა — როგორც ჩემი... უჰჰ! შენ ჩემო თავო! გამახსენდი, გამახსენდი: კლუბების ინსტრუქტორი ხარ, აი, საკლუბო საქმეებზე რომ ჩამოდიხარ ხოლმე ქალაქიდან! არა, ბოლოს ხომ მაინც გავიხსენე, კლუბების ინსტრუქტორი ხარ, არა?

— დიას, — მოკლედ მოვუტყვი მე და მეგონა ამით მოვიშორებდი აბეზარს, თუმცა არც ინსტრუქტორობასთან და არც საკლუბო საქმეებთან არავითარი საქმე არა მაქვს.

— ჰოდა, კარგია, — სიხარულით მითხრა ტიკტიკოროსანმა, — მაგრამა ძალიან კი გემდურით, მთელი რაიონი გემდურის!

— რათა? — შევეკითხე უკვე დაინტერესებით, რადგან ინსტრუქტორობა შევიფერე.

— რათაო? შე კაიკაცო, კლუბების მუშაობა ჩაშლილია, წრეები დაშლილია, წარმოდგენებს ჩვენ ვერა ვხედავთ და კინობსა, ლექციებს ვერ ვისმენთ და კონცერტებსა. და განა მარტო ჩვენთანა? რამდენგან შემომჩივლეს ეგრე, თითქმის ყველა რაიონში!..

იმის გამოც, რომ მოსაუბრის ბრალდებები გაზვიადებულად მეჩვენა, და, უფრო მეტად კი იმის გამო, რომ თავი უკვე საკლუბო საქმის მესვეურად გავასაღე, იძულებული გავხდი ვარდისფრად დამეხატა საკლუბო მუშაობასთან დაკავშირებული ღონისძიებები და მოვეყვი და მოვეყვი... როგორც ამ სამმართველოს მოხსენებები მომისმენია. თანდათან როლშიც შევედი, ხმამალა გავყვიროდი, რომ „ჩვენ გეგმები და დიაგრამები დაუშვით, თანხები ჩაუშვით, ადგილებზე სპეციალისტები გავუშვით“ და... ერთი სიტყვით, ამ საქმის წინ წასაწევად ძლიერი აფრები ავუშვით.

— შენც ერთი დიდი მზრუნველი გიპოვნია! — ხელჩაქნევით გადმოიძახა ვილაცამ. — აი, მე მარაბ დიდანა ვარ! მარაბდა, ხომ იცით, ისტორიული სოფელია. ჰოდა, იქ კლუბი გვექონდა, ვმუშაობდით, კოლმეურნეებს ვემსახურებოდით, ყველაფერი რიგზე და წესზე იყო. უცებ ყველაფერი მოგონებად გვექცა: ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კლუბი ინკუბატორად აქცია. ახლა იქ კრუხები სხედან და წიწილები წიოკობენ. იცის მაგანა?

ნან. ირ. გორდელაძისა

— ეგ რა გიკვირს, ჩემო ძმაო?— მოისმა ვაგონის ბოლოდან, — ჩვენ თანა, კეხიჯვარშია, (ქარელის რაიონში გახლავთ!), ისეთი კლუბი გვქონდა— მტერიც ვერ დაგვძრახავდა. ახლა იქა აბრეშუმის ჭია მოაშენეს, შემოდგომისთვის კი ჭირნახულს ჩაპყრიან. აბა, ერთი შეეკითხეთ, მანდ ბრტყელ-ბრტყელს რომ ლაპარაკობს, უფიქრია რამე ჩვენ კლუბზედა?

— აბრეშუმის ჭია ხომ ჩვენს კლუბში გაამრავლეს, კაცო! — გადმოიძახა გვერდის საწოლიდან თავწამოყოფილმა კოლმეურნემ, — ჩვენთან, ტეხერში, ხაშურის რაიონში. აი, თქვენნაირათა კაი კლუბი გვქონდა; კოლმეურნეობის თავმჯდომარემ— ისონ მელაშვილმა მუშაობა ჩაშალა და ჭია გაშალა. ჭია მორჩება— შიგ ჭარხალს დაპყრიან, მერე ქოსმენებს შერეკავენ, როგორც თქვენთანა ყოფილა!— მერე მე მომიბრუნდა:— შენ კი, ჩემო ძმაო, რა „დაუშვი“, რა „ჩაუშვი“, რა „გაუშვი“— არ გეტყობა?

— არა, ეგ რომ სიცრუესა კადრულობს, — მოათითა ერთმა ჩემზე, — განა სერიოზულ კაცს შეჰფერის? ვითომ არ იცის, სოფელ ჩობში რომ სამაგალითო კლუბი გვაქვს და სამაგალითო მუშაობაც შეიძლება, მაგრამ ვინ გეხმარება? ერთხელ მაინც შემოუხედნია?

— ამას წინათ რომ კლუბი გაქურდეს— ისა?

— დიახ, ისა. სამასთუმნინი ფარდა მოგვბარეს, ეკრანიცა... მუშაობამაც ჭირი მოგჭამა. ეგ კი აქ გვეტრაბახება— „ჩაუშვიო“.

— ჭირიმე, ამას რას ერჩით? — გამომეკომავა ქოჩორ-გადავარცხნილი და უღვაშებგაპარსული ახალგაზრდა, — ეს იქნებ მართლაც ბედოვლათია, ინვალიდი, მაგრამ ადგილობრივი ძალები, ორგანოები, ან კულტურულ დაწესებულებათა კომიტეტი რას შვრებიან?.. აი, ჩვენი სოფელი ციხესულორი— ვანის რაიონში გახლავთ. კლუბი გვქონდა და რა კლუბი! ყველას მოსწონდა. კოლმეურნეობის გამგეობასაც მოეწონა, და მიირთვა: — გამართა კლუბში საწყობი... ვიბრძვით და გვებრძვიან. როგორც იყო იერიშით ავიღეთ მაყურებელთა დარბაზი, მაგრამ გამგეობა კაპიტულაციაზე არ მიდის, სცენაზე გამართა ახლა საკუქნაო, მოაქვს იერიში და გვებრძვის დარბაზის ასაღებად. რას იზამს ახლა ეს ინვალიდი კაცი? — მოათითა მან ჩემზე ირონიით.

ეს იყო და ეს, აირია ერთმანეთში საყვედურისა და მუქარის ხმები.

— როგორ თუ რას იზამს?

— როგორ თუ რა შუაშია?

— მაგისტანა ბიუროკრატები და უქნარები შლიან საკლუბო მუშაობას; უნდა მოიხსნას, უნდა გაიცოცხოს!

— მოქალაქენო, ნუ იგინებით!

— რას ჩააცვიდით? ბარემ გალახეთ და ეგაა!

— თუ ასეთი უქნარა და მატყუარაა— გავლახოთ! —

გაისმა ბოლოს ერთ კუთხეში თითქოს ხუმრობით, თითქოს სერიოზულად.

ადგა, აზანზარდა ყველა, ათასი სამართლიანი საყვედური და გულისწყრომა ისმოდა. ამ ჩოჩოლმა ძალაუნებურად კურსში შემეყვანა: თურმე სოფლად, კოლმეურნეობებში, თვით რაიონის ცენტრებშიც კი ბედის ანაბარა მიტოვებული და „ჩავარდნილი“ ყოფილა კლუბების მუშაობა. აშკარა გახდა, ჩემს წინდაუხედავ ხუმრობას სახიფათო შედეგამდე მივყავდი. ტიკტორა გამოიცალა, ბღვერა დამიწყეს და ჩურჩული შექმნეს.

— არიქა, უჩინმაჩინ, თავს უშველე! — გავივლე გულში და გაქანებული მატარებლიდან ვისკუპე.

უჩინმაჩინი



ციცუნამ თვალსაჩინოდ აითვისა აგარაკი, და საამოდ ისმის მისი კისკისი და ლაპარაკი:

— თავმომწონედ ვტიტინებდი, „ჩქარს“ მოჰყვებო ჩემი ქმარი, და რას ვხედავ, სავალალოდ ხარ ძეხვივით ჩამომხმარი!..

ჩამოვიდა ქმარი ჩემად. შუბლზე ოფლი გადიწმინდა და ვზადაგზა საუბარი ბოლოს ასე დაგვირგვინდა:

— თქვი, ასე რამ გაგასუქა, რომელ ექიმს ვუთხრა ქება?! —
— შენ კი ასე რამ გაგახმო? —
— მხოლოდ შენმა გასუქებამ...
კუჩხა-ბედნიერი

აბეზარ ვაჟზე თავმოსაძლებელი არა მგონია რაიმე იყოს ამქვეყნად, — დაიწყო ამბის თხრობა ჩემმა მეგობარმა ქალი-შვილმა, — თუ ერთი თვალი დაგაღდა, არ მოგეშვება... არ გიცნობს, მაინც უკან აგედევნება...

მუდამ ვერძობდი ასეთ ვაჟებს, მაგრამ ერთმა რომ თავი მომამბეზრა... თუმცა სჯობიან თავიდან დავიწყო.

ის-ის იყო უნივერსიტეტში ლექციები დაგვიმოავრდა და ქრიაშულით მოვეფინეთ ქუჩას. ამხანაგებმა ფეხით განაგრძეს გზა, მე კი შინ მიმჩქარებოდა და ტრამვაის გაჩერებასთან დავდექი. უცებ ვილატის დაქინებული მზერა ვიგრძენი. მისკენ გავიხედე და შავთკალა უცნობი ვაჟის თვალებს წავაწყდი. იმწუთასვე თავი მოვაბრუნე და სახე მოვარიდე.

ტრამვაიში რომ ავედი, ისიც ამოვიდა. თავისუფალ სკამზე ჩამოვჯექი, ისიც ჩემს პირდაპირ დაჯდა.

ზედაც არ შემეხედინა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ აბეზარი თვალმოუშორებლად მე მიცქეროდა; ალბათ, წამწამსაც არ ახამხამებდა.

ჩემს გაჩერებაზე უკანმოუხედავად ჩამოვედი და ჩქარი ნაბიჯით შინისკენ გავიქე.

შესანიშნავი დღე იყო. მზე აცხუნებდა, ირგვლივ განახლებული ბუნების სურნელება იდგა. ყველაფერი ხარობდა, ზეიმობდა, — კრიალა ცაზე მონავარდე მერცხლები, მწვანე სამოსელში მორთული ხეები...

უცებ რალაც ძალამ გვერდით მომახედა და რას ვხედავ, ჩემი აბეზარი თურმე აგერ არ მომდევს!.. ახლა მის მზერას უფრო დიდხანს ვაგუძელი, ერთხანს განრისხებულმა წარბებიც კი მოვლუსე, მაგრამ, ალბათ, შესანიშნავი დღით გამოწვეულმა სიხარულმა ნება არ მომცა მთელი ჩემი გულისწყრომა გამოემჩინა. უნებურად გამეღიმა კიდეც, რის გამოც ჩემს თანამგზავრს აღტაცებისაგან შავი თვალეები აუციმციმდა...

აბარაკილან აბარაკისკან



ნახ. დონისა

— შესანიშნავად იაგარაკე, ჩემო გუგული, ეტუობა, წელს, დიდი ხარჯი და დიდი პატივი შედიფ კაბაშიც ეტუობა წელს.

— ხაგარაკო ხარჯი რა არი, ხარჯი ჩვენს ოჯახს შემდეგ ხრევია:

რომელი კაბაც არ შევიკერე, ყველა ხელახლა დახარღვევია!

— ო, თუ აკრია, ზღვას მიაშურე, გმართებს ასეთი თავგამეტება, — რომ ვახდე ისევ და არ მოგიხდეს ისევ კაბების გადაკეთება.

ცაცა მკერავალი

„ახლა დაიწყება თავმოსაბეზრებელი საუბარი ყველაფერზე და არაფერზე“ — გავიფიქრე გულში, მაგრამ ჩემი თანამგზავრი რატომღაც სდუმდა. იგი ცოტათი ჩამორჩა. ახლა მისი მზერა ზურგს მწვავდა და ფეხებს მაშლევინებდა...

თითქოს წინასწარ შეთანხმებულნი ვყოფილიყავით, სახლამდე მიმაცილა. ერთხანს შესასვლელთან იცდიდა (ეს მე ფანჯრიდან მალულად დავინახე), როგორც ჩანს მე მეძებდა. შემდეგ ჩემი ქუჩის გზა განაგრძო, მაგრამ სანამ თვალს მიეფარებოდა, ჩემი სახლისაკენ ყურებით თავი მოვლრიცა.

ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა, თუკი ნაცნობობა ჰქვია მის თავმოსაბეზრებელ თვალთამზერას, ჩემს ზურგს უკან მის მოკრძალებულ ნაბიჯებს და არც ერთ ნათქვამ სიტყვას!..

საოცარი იყო, თითქოს ჩემი ლექციების ნუსხა სცოდნოდა ზებირად, დამთავრებისას ყოველთვის უნივერსიტეტის შემდგომ გაჩერებასთან მიცდიდა. თუ ფეხით წავიდოდი, უკან გამომედევნებოდა, აუცილებლად შინამდე მიმაცილებდა და შემდეგ, ალბათ, თვალის ასახვევად ჩემ ქუჩას მალლა აჰყვებოდა.

ასეთი აბეზარი ვაჟის მნახველი არ ვიყავი. თეატრში წავიდოდი, ისიც იქ დამხვდებოდა. ექსკურსიაზე წავიდოდი, ისიც ორეულღვით თან დამდევდა. მართალია, პირველსა და მეორე შემთხვევაში მასთან ერთად სხვა ინსტიტუტის ვაჟებიც იყვნენ (ასეთ ღონისძიებებს ჩვენი კომკავშირის რაიკომი კოლექტიურადატარებდა), მაგრამ იგი უტიფრად მუდამ ჩემს გვერდით ცდილობდა მოხვედრილიყო.

ერთხელ, ჩემი აბეზარი ჩემს ვაჟო ისეთ ადგილას მოვიდა, რომ გაცოცხებისაგან კინაღამ ვიყვირე. მოსკოვიდან ჩამოსული აკადემიკოსი, მათფლიო სახელის მქონე ექიმი-პროფესორი ლექციას კითხულობდა მშობიარე ქალის ჰიგიენის შესახებ. მართალია, მასთან ერთად სხვა ვაჟებიც ესწრებოდნენ და ყველანი ლექციის კონსპექტს ადგენდნენ, მაგრამ ამას, ალბათ, ჩემი თვალის ასახვევად აკეთებდნენ.

იმ დღეს ტრამვაიში არცთუ ისე ბევრი ხალხი იყო. ჩემს გაჩერებას ვუახლოვდებოდი. იგი ჩემს წინ იდგა. ხომ არ გადავახტებოდი, აპიტომ მივმართე, ისევე, როგორც ათას სხვა უცნობ ადამიანს მიმართავ შეკითხვით იმის გასაგებად, ჭამოდის თუ არა მომავალ გაჩერებაზე.

ჩემი ხმა რომ გაიგონა, შეკრთა. მობრუნდა, სახეზე სიწითლის აღმურმაც გადაჰკრა, ისე ჩუმად მითხრა „დიას“-ო, ძლივს გავიგონე. მითხრა და ისეთი თვალეებით შემომხედა, იმდენი სიხარული ჩანდა მათში, იმდენი აღტაცება, რომ ძალაუნებურად გამეღიმა.

ერთად ჩამოვედით. ახლა იგი უკვე მხარდამხარ მოჰყვებოდა თამამად. მითხარით, განა შემეძლო მის ორიოდ აბეზარ შეკითხვისათვის პასუხი არ გამეცა?..

რა ვიცოდი და იგი სულთ მდიდარი ვაჟი ყოფილა. მართალია, მორცხვი და გაუბედავი, სამაგიეროდ საოცრად კეთილი, საინტერესო, საყვარელი...

ახლა, როდესაც ჩემი მეგობარი გადაწყვეტს გამაჯავროს ჩვენი პირადი გაცნობის პირველ დღეს გაიხსენებს და მხედველობაში კი არ ლებულობს ერთ გარემოებას: იმ დღეს, პირველად რომ დაველაპარაკე, მხოლოდ იმის გაგება მსურდა, ჩამოდიოდა თუ არა გაჩერებაზე იგი წელს ამთავრებს სამედიცინო ინსტიტუტს და სადიპლომო თემად მშობიარე ქალის ჰიგიენა აუღია. რომ იცოდეთ რამდენი უწერია, რა კარგი ნაშრომია!

ერთსაც საიდუმლოდ გაგანდობთ: ალბათ, სულ მალე ჩემს აბეზართან ერთად ახალ ცხოვრებას დავიწყებთ მის ბინაში, რომელიც ჩემი სახლის ახლოს მდებარეობს, ჩემი ქუჩის დასასრულს...

გივი გოგიჩაიშვილი

მშვიდად და უშფოთველად მიდიოდა ქ. თბილისის თარ-
ხნიშვილის ქ. № 16-19-ში მობინადრე შვიდი ოჯახის ცხოვ-
რება. მართალია ბინებში დიდად კმაყოფილნი არ იყვნენ, მაგ-
რამ არც ბედს უჩიოდნენ. შვიდ ოჯახში ოცდათერთმეტი სუ-
ლი ცხოვრობდა. იყვნენ შუახნისანები, ახალგაზრდები, ბავშ-
ვები, მოხუცებიც.

სადარდებელი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ ერთ დღეს
მათი მყუდრო ცხოვრება ისევე დაინგრა, როგორც მათი ბი-
ნები.

ყველაფერი სრულიად ჩვეულებრივად მოხდა:

1952 წლის დასაწყისს „გრუნშახტოპროექტმა“ გადაწყვი-
ტა ოთხსართულიანი სახლის აშენება. თარხნიშვილის ქუჩაზე
უკეთეს ადგილს სადღა იპოვიდა! ამიტომ თარხნიშვილის ქ.
№ 16-19-ში მცხოვრებლებს თხოვა დროებით სადმე შეხიზნუ-
ლიყვნენ და ოფიციალური ხელშეკრულებით ვალდებულება
აიღო ერთი წლის შემდეგ შვიდივე ოჯახისათვის ახალ სახლ-
ში კომფორტაბელური ბინები მიეცა.

მართალია ძველი ბინების მიტოვება არცთუ ისე სასი-
ხარულო ამბავი იყო, მაგრამ შესანიშნავად მორთულ ბინებზე
ოცნებამ (რა სჯობია ახალ ბინას, საკუთარ სამზარეულოს,
აბაზანას!..) პირველ წელს იოლად გადაატანინა მათ სხვის კარ-
დაკარ სიარული.

თვე თვეს მისდევდა, წელი—წელს.. ახალი სახლის მხო-
ლოდ კედლები იქნა აყვანილი და მუშაობაც ამაზე შეჩერდა.

— როდის!.. როდის!..—ოცნებობდნენ უბინადრო ბინა-
დარნი.

„გრუნშახტოპროექტმა“ სამუშაოს რომ თავი ვერ გაარ-
თვა, იგი „შახტოსტროის“ გადასცა. „შახტოსტროიმ“ მემკვი-
დრეობით დაუმთავრებელ სახლთან ერთად მისი წინაპრის მუ-
შაობის უვარგისი შეთოდიც გადმოიღო.

აი, 1954 წლის პირველი ნახევარიც მიიწურა და „გრუნშ-
ახტოპროექტის“ მიერ ძველად აშენებულ კედლებს ახალი არა-
ფერი მომატებია.

— როდის!.. როდის!..—გაჰყვირიან უბინადრო ბინა-
დარნი.

დიდხანს ელოდნენ, ახლაც ელოდებიან... უსასღვროა მა-
თი მოლოდინი!

გ. ალავეიძე



— შენ რომ ყოველთვის მეუბნებოდი, მამიკო, უფრო-
ხებიხაგან აიღე მაგალითი, იმათგან ისწავლეო, ახლა
რაღას მეტყვი?.. ჩვენმა ბიჭებმა მიპბაძონ უფროს
„დინამოელებს“?..

მივა ვეჩილი და მიხა ალკოკაჰი

მაიაკოვსკის რაიკოოპკავშირს შტატით არ ჰქონდა გა-
თვალისწინებული იურისტის თანამდებობა. და რაკი რაიკო-
ოპკავშირისათვის გაფლანგვა-განიავება ჩვეულებრივი ხილი იყო;
იურისტის ყოლა ისევე აუცილებელი გახლდათ, როგორც გამ-
ფლანგველის პასუხისგებაში მიცემა.

მდგომარეობიდან გამოსასვლელის მოსაძებნად კოოპკაჰ-
შირელებმა მოიხმეს რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამ-
გე მიხეილ ძიძიგური. მიხეილ ძიძიგურმა იურიდიულად დაასა-
ბუთა, რომ იურისტის აყვანა ხელშეკრულებითაც შეიძლება,
კოოპერატორებს ამ თანამდებობაზე საკუთარი თავი შესთავაზა
და თვეში 600 მან. დაინიშნ-დაიხელშეკრულება.

გაირჩა სასამართლოში კოოპერაციის ერთი საქმე, მიხეი-
ლი არ გამოჩნდა, გაირჩა მეორე, ძიძიგური ვერ გამოცხადდა,
გაირჩა მესამე, ძიძიგურს არ ეცალა, გაირჩა მეოთხე, ძიძიგუ-
რი იქ არ იყო, გაირჩა მეხუთე, ძიძიგურმა ვერ გაიგო, გაირ-

ჩა შეექცე და... როგორც იყო გამოცხადდა რაიკოოპკავშირის
ხელფასიანი იურისტი მიხეილ ძიძიგური.

მოსამართლე-მსაჯულნი ელოდნენ, რომ იურისტი მიხეილ
ძიძიგური ორსაათიან სიტყვას იტყუდა, „მუშტით“ დაიცავდა
რაიკოოპკავშირის ინტერესებს, მაგრამ მან სასამართლოს წა-
რუდგინა დაცვის ქვითარი № 44231 და ბრალდებულ მეფა-
რიშვილის დაცვას შეუდგა.

გაამართლა თუ ვერ გაამართლა ბრალდებული ამბაკო
მეფარიშვილი მიხეილ ძიძიგურმა, მკითხველისთვის დიდად
საინტერესო არ არის. საინტერესოა ერთი რამ: იურისტი ძი-
ძიგურს თავისი საქციელის თუ არა რცხენიან, იმ ექვსას მა-
ნეთს მაინც რას ეუბნება, რომელსაც ყოველთვიურად იღებს
რაიკოოპკავშირის სალაროდან?!

30ა

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниванги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

გამომც. № 15, ხელმოწ. დასაბ. 17/VIII-1954 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. „ზარია ვოსტოკას“ სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42
შეგვ. № 2035 უფ 15326 ტირ. 20.000



ნახ. ირ. გორდელაძისა

უბრალო შეხედობა

ორთაქალის კოლმეურნეობის წვრტებში უხარისხო ხილ-ბოსტნეული იყიდება.

- ბოდიში, ძია, მაგრამ მგონი შეგეშალათ. მე ნესვი გთხოვეთ, თქვენ კი კიტრი ავიწონიათ.
- ვახ, მას ნესვი არ არის? ფერით, ზომით, ყველაფრით როგორა ჰგავს, ეგ დალოცვილი!